EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

Programme carried out with the financial assistance of the European Union

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) პრაქტიკული გამოყენება საქართველოში ნარჩენების მართვის სექტორში

SEA ტრენინგი-სემინარი 2: ეფექტური შეფასება, შემსუბუქება და მონიტორინგი

2015 წლის 21-22 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE | UNEP | UNIDO

GEO Georgia's Environmental Outlook

EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

Programme carried out with the financial assistance of the European Union

SEA ანგარიშის მომზადება

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE)
საერთაშორისო კონსულტანტები SEA-ს საკითხებში:

დოქტორი მაია გაჩეჩილაძე - ბოჟესკუ
ბ-ნი მიქალ მუსილი

GEO
Georgia's Environmental Outlook

ბ-ნი მარტინ სმუტნისა & დოქტორ
მარინა ხოტულევას მასალებზე დაყრდნობით

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE | UNEP | UNIDO

SEA ანგარიშის ფუნქცია

- SEA ანგარიში უნდა **აჯამებდეს** მთლიანად SEA პროცესში მიღებულ **ყველა შედეგსა და დასკვნებს**

- იგი წარმოადგენს შესაბამის უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული **კონსულტაციების საფუძველს** (როგორც წესი, ბოლო რაუნდი)

კარგი SEA ანგარიში...

- კარგად წაკითხვადი და აღქმადია/გასაგებია
- შეიცავს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მონაცემს
- ნათლად და გასაგებად აჯამებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს
- მიუთითებს, იქნა თუ არა (და როგორ) SEA-დან მიღებული რესურსი (inputs) გათვალისწინებული და ინტეგრირებული გეგმის ან პროგრამის პროექტში

SEA-ს მხოლოდ ამგვარი ანგარიში იძლევა შესაბამის უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კონსულტაციების წარმოების საშუალებას

პრაქტიკული რჩევები

SEA ანგარიშში კონკრეტულად აღწერეთ

- **რას სთავაზობთ** (რეაგირების/შემსუბუქების ღონისძიებები, მონიტორინგის სქემები, გადაწყვეტილებების მიმღებების მიერ გასათვალისწინებელი პირობები და ა.შ.),
- **რატომ სთავაზობთ** (მაგ., იმისათვის, რომ მოხდეს კონკრეტული უარყოფითი ზეგავლენის შემცირება, ან დადებითი ზემოქმედების გაძლიერება)
- **ვინ / რომელმა დაწესებულებამ უნდა განახორციელოს აღნიშნული ქმედებები** (დამგეგმავი სააგენტო, პროექტის დეველოპერი, გარემოსდაცვითი სააგენტოები, გადაწყვეტილებების მიმღებები და ა.შ.)

არ დაგავიწყდეთ არატექნიკური რეზიუმე!

პრაქტიკული რჩევები

- **ნუ გახდით SEA ანგარიშს ზედმეტად რთულს**: მისი ძირითადი ტექსტი უნდა იყოს ლაკონური და ნათელი, ხოლო დეტალური ანალიზი და ინფორმაცია შეიძლება მოცემული იქნას დანართებში
- **გამოიყენეთ გასაგები ენა:** თავი აარიდეთ, მაგ., ტექნიკური ტერმინოლოგიის, ან აბრევიატურების გამოყენებას მათი მნიშვნელობის სათანადოდ ახსნის გარეშე
- **მიუთითეთ ინფორმაცია SEA პროცესთან დაკავშირებით** – მისი სტრუქტურა, კავშირი დაგეგმვის პროცესთან, ჩატარებული კონსულტაციები და როგორ იქნა მათი შედეგები ასახული SEA-ში
- არ დაგავიწყდეთ მკაფიოდ მიუთითოთ, თუ **რომელი შემოთავაზებები/წინადადებები იქნა გათვალისწინებული და ინტეგრირებული** გეგმის ან პროგრამის საბოლოო პროექტში
- ნათლად **მიუთითეთ ნებისმიერი გაურკვეველი საკითხი ან მონაცემების და ინფორმაციის ნაკლებობა/არარსებობა.**

SEA ანგარიშის შინაარსი (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტი. Art.27)*

‘SEA ანგარიშის შინაარსში' იგულისხმება „SEA ანგარიშში შესატანი ინფორმაცია' და არა ‘დოკუმენტის სტრუქტურა’!

- **სტრატეგიული დოკუმენტის** შინაარსი და ძირითადი მიზნები და **მისი ურთიერთკავშირი სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან**;
- **გარემოს არსებული მდგომარეობის** სათანადო ასპექტები, **ჯანმრთელობის ჩათვლით**, და **სავარაუდო ევოლუცია** იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიული დოკუმენტი არ რეალიზდება / განხორციელდება;
- გარემოს **მახასიათებლები**, ჯანმრთელობის ჩათვლით იმ ადგილებში, რომლებიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ მოექცევა;
- **გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის ჩათვლით, მიზნები,** რომლებიც დადგენილია საერთაშორისო, ეროვნულ და სხვა დონეზე და რომლებიც აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტთან შეხებაშია (რელევანტურია) და გზები, თუ როგორ მოხდა აღნიშნული მიზნების და სხვა გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის ჩათვლით, მოსაზრებების გათვალისწინება მისი მომზადებისას;

** 2015 წლის 1 სექტემბრის ვერსიაზე დაყრდნობით*

SEA ანგარიშის შინაარსი (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტი. Art.27)

- **აღწერა, თუ როგორ განხორციელდა შეფასება**, ანგარიშისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეების ჩათვლით, როგორიცაა ტექნიკური ხარვეზები, ან არასაკმარისი ცოდნა;
- ინფორმაცია გარემოზე **სავარაუდო მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ზეგავლენის** თაობაზე**, თუ აღნიშნული სახეზეა**;
- გარემოზე, ჯანმრთელობის ჩათვლით, ნებისმიერი სახის მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციის, შემცირების, ან შემსუბუქების **ღონისძიებების** ანალიზი, რაც შეიძლება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას მოყვეს შედეგად;
- კონკრეტული **ალტერნატივების შერჩევის მიზეზები**;
- სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების გარემოსდაცვითი ზეგავლენის **მონიტორინგისათვის** განსაზღვრული ღონისძიებების მონახაზი;
- მოცემული ინფორმაციის არატექნიკური შეჯამება.

ჯგუფური დისკუსია – 10 წთ.

- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტიდან გამომდინარე, SEA ანგარიშის სტრუქტურაზე დაყრდნობით შეიმუშავეთ SEA ანგარიშის მონახაზი სტრატეგიისათვის

- დავალების შესრულებისას მიუთითეთ:
  - თქვენს მიერ სტრუქტურის ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებული მოსაზრება
  - დამატებითი საკითხები, რაც უნდა იქნას მოცული
  - მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების გზა (ტექსტი, ცხრილები, სურათები)

EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

Programme carried out with the financial assistance of the European Union

შეკითხვები? კომენტარები?

გმადლობთ ყურადღებისათვის!

Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

GEO Georgia's Environmental Outlook

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE

UNEP

UNIDO